სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 23 0001002784

16/08/2023

**სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებისათვის 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ**

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, “საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი ჰალილ გუვენის 2023 წლის 25 ივლისის №SDSU 139-07-2023 წერილის საფუძველზე, 2023-2024 სასწავლო წლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) ჩატარდეს 2023 წლის

18 სექტემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2023 წლის 18 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად.

2. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2024 წლის 22 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით; დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2024 წლის 13 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად.
3. 2023-2024 სასწავლო წლის მესამე (ზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2024 წლის 20 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2024 წლის 19 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად.
4. ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება მოხდეს 2023 წლის 11 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით.
5. აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს:

- პირველი (შემოდგომის) სემესტრისათვის - 2023 წლის 15 სექტემბერს;
- მეორე (გაზაფხულის) სემესტრისათვის - 2024 წლის 15 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით;
- მესამე (ზაფხულის) სემესტრისათვის - 2024 წლის 15 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით.

6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. №5, მესამე სართული, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანატი (საკონტაქტო ტელეფონი: 2 311 611).
7. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე).
8. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ოთხი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანატში რეგისტრირებული უწყისი არსებული წესის მიხედვით გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.
9. დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, თითოეული სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარადგინოს სამსახურებრივი ბარათი სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები.
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.
11. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან